მოწყობილობის დანიშნულება

ეპილატორი — ელექტრომექანიკური მოწყობილობაა, რომელიც განკუთვნილია ტანზე თმის მოსაცილებლად.

უსაფრთხოების ზომები

- მოწყობილობის გამოყენებამდე ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული სახელმძღვანელო და შეინახეთ იგი შემდგომი გამოყენებისთვის. ნუ გამოიყენებთ აქსესუარებს, რომლებიც არ არის რეკომენდებული მწარმოებლის მიერ.
- გამოიყენეთ მოწყობილობა მკაცრად დანიშნულებისამებრ.
- მოწყობილობის გამოყენებისას ნუ მიიტანთ მას თავის თმასთან, წარბებთან, წამწამებთან, აგრეთვე ნებისმიერ სხვა საგნებთან.
- ეპილატორის პირველი გამოყენებისას შესაძლოა კანის მსუბუქი გაღიზიანება (გაწითლება, წითელი წერტილების გაჩენა), რომელიც, როგორც წესი, მცირე დროში გაივლის. თუ გაღიზიანება ნარჩუნდება, დაჟინებით რეკომენდებულია მიმართოთ ექიმს.
- თუ მოწყობილობა ან დამტენი კაბელი დაზიანებულია, შეწყვიტეთ მათი გამოყენება და მიმართეთ ავტორიზებულ სერვის-ცენტრს.
- ელექტროშოკის თავიდან ასაცილებლად, არ დაშალოთ მოწყობილობა დამოუკიდებლად. მოცემული მოწყობილობა არ შეიცავს ელემენტებს, რომელთა მომსახურებაც შესაძლებელია მომხმარებლის მიერ. მომსახურება და რემონტი უნდა ჩატარდეს მხოლოდ ავტორიზებული სერვის-ცენტრის კვალიფიციური სპეციალისტების მიერ.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნებისთვის გამოსაყენებლად.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისათვის, აგრეთვე შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირთათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე ხორციელდება კონტროლი მათი უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ. არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობით თამაშის უფლება.
- აკრძალულია მოწყობილობის წყალში ჩადება ან წყლის ჭავლის ქვეშ გარეცხვა.
- არ შეეხოთ მოწყობილობას, ადაპტერს და დამტენ კაბელს სველი ხელებით.